№ 73 აპრილი 2, ოთხშაბათი 1886 აპრილი 2, ოთხშაბათი № 73

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

**გაზეთი „ივერია“ 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.**

ტფილისი, 1 აპრილს

რაკი ირლანდიაში სამი მეოთხედი მთელის ადგილ-მამულიისა 5,400 კაცმა დაიჭირა, რასაკვირველია, დანარჩენნი უმამულოდ უნდა დარჩენილიყვნენ. რადგანაც მამულების ჭერა და გაცემა მარტო მემამულეთა ნებაზედ-და იყო მიჩემებული და უმამულოდ დარჩენილს ხალხს ჭამა-სმა უნდოდა,—სხვა გზა არ იყო, უნდა ლორდის ხელში ჩავარდნილიყო და მისგან აეღო მიწა. ლორდებმა მალე შეამჩნიეს, რომ რაც უფრო წვრილ-წვრილ ნაჭრად ურიგდებოდათ მიწა ღალით, თუ იჯარით, მით უფრო მეტს იძლეოდნენ მიწას გამოკლებულნი გლეხნი. ამ სიხარბემ ლორდებს ისე დაანამცეცებინა მიწები და იმოდენა მეღალენი აჩნდნენ ამის გამო, რომ თვითონ ლორდი ღალის აკრეფას ვეღარ ასდიოდა. ამ გარემოებამ აიძულა ლორდები ერთი კაცი ვინმე აეჩინათ ისეთი, რომ ლორდისათვის ერთიანი ღალა ეძლია და თვითონ ეკრიფა ღალა წვრილთა მეღალეთაგან. ამისთანა კაცს იურიდიული სახელი დაერქვა ირლანდიაში (*midleman*) შუაკაცი და ინგლისში (*tacksman*), ამკრეფი კაცი. ამ შუა-კაცებმა, რასაკვირველია, რომ მეტს გამორჩნენ ლორდის მამულს უფრო დააკუწმაწეს მიწები და ისე აძლიეს გაჭირებულ გლეხს. 1841 წ. 682 ათასი საღალე ფერმა იყო ირლანდიაში და 1845 წელს იგივე 905 ათას ფერმად დაიყო მარტო ამ ხარბობის იძულებითა. მაშინ როდესაც ინგლისში ერთს მემამულეზედ ცხრა ფერმა მოდის, ირლანდიაში — ოთხმოც-და-ერთია. 1845 წ. ფერმა თვითო აკრზედ ნაკლები ($^2/_3$ ჩვენის დღიურისა) 135,314 იყო, ერთიდამ ხუთამდე 181,950 და სხვანი. ამან საშინლად ასწია ფასი მიწისა, იმიტომ-რომ ინგლისში ერთს მამულზედ 66 მოღალე მოდიოდა, შოტლანდიაში—52 და ირლანდიაში კი—115, თითქმის ერთი-ორად.

გარდა მაგისა ირლანდიაში ერთი საოცარი ამბავი მოხდა, იმისთანა ამბავი, რომ მთელი მეცნიერნი გააბრუა. 1766 წელს ირლანდიაში სულ 1.871,725 სული იყო მცხოვრები, 1801 წ. 5,216,331 სულად გარდიქცა ხალხის გამრავლების გამო. ამ წლიდამ სულ მატება დაიწყო, ასე რომ 1841 წელს 8,175,124 სული გახდა. 74 წლის განმავლობაში ირლანდიის ხალხმა $4^1/_2$ ჯერ იმატა და ერთს კვადრატულს, ანუ ჩორსო მილზედ 1,200 კაცის მაგიერ 5,200 კაცი გამოჩნდა.

ამ საოცარმა და გარდამეტებულმა გამრავლებამ გაამრავლა, რასაკვირველია, მიწის საღალედ მთხოვნელიცა და მიწის ფასი ისე ასწია ირლანდიაში, რომ ორ დღიურში ოც თუმნამდე ღალას აძლევდნენ წელიწადში. ვინ გაუძლებდა ამისთანა ფასებს, ნამეტნავად ირლანდიაში, საცა ვენახები არ არის და ძვირფასი რამ ნამუშავარი არ მოდის, თითქმის გარდა კარტოფილისა, რომელიც მართლა დიდს მოსავალს იძლევა იქ, რადგანაც ჰავა და მიწა შეჰსწევს. ამ გარემოებამ მეტად დიდი უბედურობა მიაყენა ირლანდიის ხალხს. ინგლისსა და შოტლანდიაში რომ უმამულოდ დარჩა გლეხობა, იქ ისეთი საზიანო არ იყო, როგორც აქ, ირლანდიაში. იმიტომ-რომ ინგლისი და შოტლანდია გაჩაღებული იყო ფაბრიკებითა, ქარხნებითა და იმისთანა მრეწველობითა, რომელსაც პირ-და-პირი დამოკიდებულება არა ჰქონდა მიწასა და მიწათ-მოქმედებასთან. ანის გამო იქ უმამულო ხალხი კიდევ იოლად მიდიოდა, რადგანაც ფაბრიკები, ქარხნები და ქალაქების საქმენი სამუშავოს აძლევდნენ და მოჭარბებული, მიწას-გამოკლებული ხალხი სულ ქალაქსა, ფაბრიკებსა და ქარხნებს შეეკედლა. ირლანდიაში, მისდა საუბედუროდ, უმამულოდ დარჩენილს ხალხს ეს სახსარიც არა ჰქონდა, რადგანაც ერთად-ერთი წყარო ცხოვრებისა მიწათ-მოქმედება იყო და ფაბრიკები, ქარხანები და სხვა ამ გვარი მრეწველობა არ არსებობდა.

მაშინ როდესაც ხალხის გამრავლების გამო მიწის ღალამ აიწია, მუშის ფასმა იმავ მიზეზით საშინლად დაიწია. საცა მუშა ბევრია და საქმე ცოტა, ყველგან ესეა. მართალია, 15 მილლიონი აკრი მიწა, რომელიც 5,400 კაცს დასაკუთრებული ჰქონდა ირლანდიაში, დიდ-ძალს მუშას გაუჩენდა საქმეს, მაგრამ არ გაუჩინა კი. აი რა მიზეზით. იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ირლანდიაა, პირუტყვთ-მოშენება უფრო სახეიროა, ვიდრე ხვნა-თესვა. ამიტომაც 15 მილლიონ აკრიდამ ლორდებმა $11^1/_2$ მილლიონ აკრზედ მეტი საძოვრად და საბალახედ აქციეს, და დასტოვეს საკარტოფილედ მხოლოდ მილლიონნახევარი და საპურედ—2 მილლიონზედ ცოტა მეტი. გამოდის, რომ მარტო სამს მილლიონზედ ცოტა მეტი მიწა-და იყო დარჩენილი სამუშაოდ, ესე იგი, სულზედ მარტო ერთი მესამედი დღიურისა, ანუ 400 ჩორსო საჟენი. ამ სახით კაცის საცხოვრებლად დააგდეს 3 მილლიონი აკრი და პირუტყვთათვის თითქმის 12 მილლიონი

ამ ყოფამ საშინელს სიღატაკეში ჩააგდო ირლანდიის მკვიდრი ერი. მუშის ფასი ჩამოვარდა რიცხვით 40—30 სანტიმზედ *) და ეს ფასები ორთა შუა რიცხვით იყო დიდ შიმშილობამდე, ესე იგი, 1847 წლამდე. ჩვენის საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ვერცხლის ფასი დაეცა, მუშის ერთის კვირის ფასი ჰტოკავდა 3 და 6-ს ფრანკ*) შუა. იქამდი მიახწია სიღარიბემ, რომ ზოგიერთ ქალაქში ას მცხოვრებში ორმოც-და-ათსზედ მეტი გლახა იყო, სამადლოდ შესანახავი. დონეგალის საგრაფოში იმისთანა ადგილები იყო, საცა ოთხი-ათასს კაცზედ ორი დოშაკი მოდიოდა, და რვა ლეიბი ჩალისა, თუ ნამჯისა, ბევრს ადგილას ზღვის პირებზედ წყლის ბალახსა ხმარობდნენ საჭმელად და ისე იკვებებოდნენ. 1740 და 1741 წ. შიმშილისაგან მარტო სამხრეთ და დასავლეთ ირლანდიაში 400,000 სული მომკვდარა; შიმშილითვე მერეც თითქმის ათში ერთი კაცი კვდებოდა თურმე.

---

*) სანტიმი = $^1/_4$ კაპეიკა.

**) ფრანკი = 25 კაპეიკა.

# ფელეტონი

## სვე-ბედი მწერლისა

### საფრანგეთში.

ახალი მწერალნი საფრანგეთში ისევე მრავლად ჩნდებიან, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ. გუშინ უმნიშვნელო, მივიწყებული, უსახელო ახალ-გაზდა მოთხრობისა და რომანებისა მწერალი, უცებ სახელს შოულობს, ყველას ალაპარაკებს თავის ნაწერით, მდიდრდება და თვალ საჩინს ალაგს იჭერს სამწერლო ასპარეზზე. ასე მოუვიდა პოლ ბურჟესაც, რომანებისა და მოთხრობების მწერალს. დიდხანს უცდიდა თურმე ეს მწერალი თავის ბედს, დიდხანს შესტრფოდა, შეჰყეფდა იღბალს, იწვევდა დიდებას, მაგრამ აჯა მისი არ შეისმინეს ციურთა ძალთა. რამდენიმე მოთხრობა, ერთი პოემა და რამდენიმე საკრიტიკო წერილები,—აი ის ლიტერატურული განძი, რომელიც ეკუთვნოდა პოლ-ბურჟეს. ოთახი ცუდი ეჭირა, ქუჩა ბინძური იყო, ფულს ცოტას შოულობდა გაზეთში წერით და პანსიონში მასწავლებლობით. სასოწარკვეთილი მწერალი უიმედობას მიეცა: ოც-და-ათის წლისა სრულდებოდა და ისეთი-კი ვერა დასწერა-რა, რომ ქვეყნის ყურადღება დაემსახურნა, პატივი და დიდება შეეძინა. ოც-და-ათი წელი ხომ სამზღვარიაო მწერლისათვის, თუ ამ ხანამდე მწერალმა ნაყოფი ვერა გამოიღო-რა, გათავდაო, მისი საქმე წასულიაო. 19 წლისამ დაიწყო წერა, რამდენიმე წიგნი დასწერა, ერთი საკმაოდ რიგიანი რომანიც დაასრულა. აგერ ოც-და-ათი წელიწადი გადიოდა და მაინც მოლოდინი ამაოდ უწვრილებდა გულს: სახელი, დიდება, რომელსაც უკვდავებასავით ელოდა, არსად, შორსაც-კი, არა სჩანდა.

იმისი ამხანაგები ძალიან წინ წავიდნენ. თითქმის ყველამ სახელი გაითქვა. ყველამ, ვისთანაც ერთად სწავლობდა სხვათა ქვეყნების ცხოვრებასა და მწერლობას, რითიმე გამოიჩინა თავი, რიშპენმა, ამედეი პიქონმა და სხვათა. თავად კი დარჩა დაჩაგრული. ბურჟეს ნაწერები არ მოსწონდათ როგორღაც მხიარულ ფრანგებს. ბურჟე სულ იდეალის ძებნაშიაო, ბურჟეს არ მოსწონს მიდამო, გარეშემო ცხოვრებაო, ბურჟე სულ სამწუხარო ამბავს მოგვითხრობსო, ბურჟეს თავისი თავი ბოდლერისა და შოპენგაუერის — ამ კაცობრიობის მოძულეთა—ნაწერებით გაუსიაო და თავადაც გულში შეჰპარვია ეს სენიო.

ფრანგების სასიკვდინო განაჩენი ბურჟესათვის მალე შეიცვალა სიცოცხლის მომნიჭებელ სიყვარულითა და თანაგრძნობით. დიდება, პატივი და სახელი ეწვია ბურჟესაც: ეწვია უცებ, ანაზდეულად, ალალ-ბედად... გუშინდელი შუათანა ნიჭის მწერალი, სახელ-განთქმული და საყვარელი რომანისტი შეიქნა. ბურჟეს ახალმა რომანმა აალაპარაკა მთელი პარიჟი: ერთის მხრით ქებასა და მეორეს მხრით ძაგებას დასასრული არა აქვს. ეს ითქმის კაცებზედ, ქალები-კი გაგიჟებულნი არიან და ამბობენ, რომ ბურჟე «ჩვენი» მწერალიაო. მის მშვენიერად დაბეჭდილს ახალს და ძველს რომანს ყველა სალონში ჰნახავ, ყველა ბუდუარში შეჰნიშნავ. მართალია, ბურჟეს რომანების კითხვის დროს ცრემლებს არ აფრქვევენ ისე, როგორც ოქტავ ფელიეს ნაწერების კითხვის დროს*), მაგრამ სამაგიეროდ ბევრსა ჰფიქრობენ და ამბობენ, რომ ქალის გულის საუკეთესო მცოდნეა ბურჟეო, დიდის სიმართლით და ხერხით იკვლევს ძველს, მაგრამ მუდამ ახალს და სანუკარს გრძნობას სიყვარულისას, მომეტებულ ნაწილად გრძნობას ტანჯვისა და ღალატისას სიყვარულშიო.

პოლ ბურჟე უპირველეს ყოვლისა ზნეობის მცველი და მქადაგებელი რომანისტია. ზნეობრივი საგნები პირველი და მთავარი ძარღვია მისის ნაწერებისა. ეს არის სხვათა შორის ერთი მიზეზი იმისი, რომ ბურჟეს ასეთი კარგი სახელი დაუვარდა. ესრედ-წოდებულმა ნატურალებურმა რომანებმა, რომელიც სავსეა ზიზღით კაცის მიმართ, სავსეა დაუსრულებელის გარყვნილობის და ჭუჭყის აღწერილობითა, თავი მოაბეზრა ხალხსაო. საზოგადოებას დიდი ხანია სწყურიან ისეთის ნაწერების წაკითხვა, სადაც კაცი მართლა კაცურად იყოს გამოხატული თავის ავითა და კარგითაო. და აი რასაც ეძებდა, საზოგადოებამ ბურჟეს რომანში ჰპოვა. რამდენსამე კვირაში ეს რომანი 15 ჯერ დაბეჭდეს, ისე ძრიელ ისყიდებოდა.

პოლ ბურჟე თანამშრომელობს ჟურნალ «ნუველ რევიუ»-ში და იქა სწერს კრიტიკულს სტატიებს. ამ სტატიების წერაში სწავლობს ათის საუკეთესო მწერლის ნაწერებსა (ბოდლერი, რენანი, ფლობერი, ტენი, სტენდალი, დიუმა, გონკური, ტურგენევი და ამიელი). იმის აზრით ამ ათის ნაწერებში ცხადად არის გამოთქმული და გამოხატული ეხლანდელის საზოგადოების აზრი და შეხედულება თავის მოძღვრებითა ზნეობასა და ესტეტიკაზე. თავადაც ასე იქცევა თავის რომანში «სიყვარულის დანაშაულობა». სულ სამი პირია აქ: ქმარი, ცოლი და საყვარელი. ქმარი გულ-კეთილი მსწავლულია და მათემატიკით გატაცებული, მაგრამ გაგიჟებით უყვარს თვისი ცოლი. ცოლი არის კეთილი, უბრალო და პატიოსანი დედა-კაცი. რამდენიმე წლის ერთ ფეროვან ცხოვრების შემდეგ, შეიყვარებს თავის ქმრის მეგობარს და შეიყვარებს ნამდვილის და ძლიერის პირველის სიყვარულითა. ქმრის მეგობარი, ანუ შინა კაცი ცოლ-ქმრის ოჯახში, ცოტა არ იყოს ახალი ტიპია, რადგანაც ავტორმა ისეთი ხასიათები მისთვისა არმანს. არმანი ახალ-გაზდაა, ჰკვიანი, ნიჭიერი, ჯანიანი და თავის შესაფერი საქმე და—საგანი კი ვერ უპოვნია ცხოვრებაში. ღარიბი რომ ყოფილიყო, ცხოვრების საგანიც ნაპოვნი იქმნებოდა: სიმდიდრის შეძენას გამოეკიდებოდა, როგორც სჩადიან სხვა მისი თანამემამულენი. მაგრამ არმანი მდიდარია. დარჩა პატივ-მოყვარეობა; მოინდომოს კი ოლონდ და არმანს შეუძლიან ხარისხოვანი დიპლომატი შეიქმნას, მოხე-

---

*) ოქტავ ფელიეს თხზულებათაგან გადმოთარგმნილია ქართულად დ. ყიფიანის მიერ: «რომანი ღარიბის ყმაწვილ-კაცისა».

ამისთანა ყოფაში, რა თქმა უნდა, ირლანდიის ხალხი ვერ გაამრავალ-გვარებდა თავის საჭმელსა. იგი იკვებებოდა განსაკუთრებით კარტოფილითა, სხვა საზდოება არა ჰქონდა. ეს კარტოფილი ცნობილი იქმნა ირლანდიაში XVI საუკუნის ბოლოს, ანუ XVII საუკუნის დასაწყისს და შევიდა ხმარებაში. ირლანდიის ჰავამ და მიწამ ძალიან მოიხდინა და იქ დიდი მოსავალი იცის. «რაკი იქაური მიწად მომქმედი, ამბობს ერთი მეცნიერი: შეიტანდა სახლში უხვად მოსულს კარტოფილსა, თავისთავს ბედნიერად ჰსახავდა და ხვალისა ფიქრი აღარა ჰქონდაო.» ამ გარემოებისა გამო კარტოფილის თესვა და მოყვანა შეიქმნა ერთად-ერთ წყაროდ ხალხის ცხოვრებისად. ამავ მიზეზით იგივე კარტოფილი შეიქმნა სათავედ იმ საშინელის უბედურებისა, რომელიც ირლანდიას ეწვია 1847 წ. და რომელმაც ისეთი თავ-ზარი დასცა, რომ დღესაც ირლანდია კვნესის, ვაებს და ვაგლახებს იმ თავზარისაგან.

ამ უბედურებას და მის შედეგს მერე ვაუწყებთ მკითხველს.

ე.

## ახალი ამბავი

*** სიღნაღის მაზრიდამ გვატყობინებენ, რომ წელს ძალიან კარგს მოსავალს მოელიან და, თუ ცა და ღრუბელი დაუმშვიდდა ჩვენს ნამუშავარს, წარსულის წლის დანაკლისს უხვად გადავითავებთო.

*** მეტად უჩივიან ინსტიტუტის ქუჩაზედ ძაღლების სიმრავლეს, კაცს არ გაევლებაო, ათი-თორმეტი ძაღლი გაეკიდება თურმე ყოველ გამვლელ-გამომვლელს და ყეფა-გლეჯით მიჰყვებიან კარგა მანძილზე. კარგი იქნებოდა, პოლიციას ამ ურიგობისათვის მიექცია ყურადღება.

*** სოფ. კახიდგან მეტად უჩივიან ვაჭრებს. აქაო, გვწერს კორრესპონდენტი, ამ ბოლოს დროს მეტად მრავლდებიან ვაჭრები, რომელნიც გლეხებს უკანასკნელს გროშს არ უყენებენ ჯიბეშიო. ისე მოხერხებულად მიჰყავთ ვაჭრობა ამ პირებს, რომ წლის თავზე მანათზე მანათს აღებინებენო. აი ერთი მაგალითი ამათის მოხერხებულის ვაჭრობისა: ინგილომ ისესხა ერთის ვაჭრისაგან სამი მანათი იანვარში, მარტში წაიღო იმისგანვე 10 მანათის ფარჩეულობა, ივლისამდის 30 მანათის წვრილმანი საქონელი სახლისთვის, ნოემბერში გაუჭირდა და კიდევ რვა თუმანი ისესხა, ასე რომ მომავალ იანვრამდის ინგილომ 15 თუმნამდე ვალი დაიდო ვაჭრისა. ვაჭარი უანგარიშებს: წაღებული გაქვს თუთხმეტი თუმანი, ათ თუმანზე ოცი მანათი სარგებელი, ხუთზედაც ათი—სულ 3 თუმ., მაშასადამე თვრამეტი თუმანი მერგება შენგან. ახლა მოგება იანგარიშეთ ფარჩაში, აბაზიან ჩითს ცხრა შაურად აძლევს: ყონაღო, ფულს ხომ არ მაძლევ, შემდეგაც ვინ იცის როდის მომცემ და ისიც ფულად კი არა—ან თხილი უნდა მომცე, ან აბრეშუმი, მაშ მე მოგება არ მინდა. ილაჯ-გაწყვეტილს ინგილოს მეტი რა ჩარა აქვს, რომ ყოველს იმის პირობას არ დაეთანხმოს. ინგილოებში ფულიანი გლეხებიც არიან, რომლების ფულიც ვაჭრებსა აქვთ სარგებლით აღებულიო. საკვირველია, ღმერთმანიო! ვაჭარი ერთის ინგილოსაგან 3% იღებს ფულს, მეორეს 30 კაპ. აძლევს. აბა ამასა ჰქვიან: «სხვისის ხელით ნარის მოგლეჯა», აი! კარგი იქნებოდა, რომ დეპო და ბანკი დაარსონ ამისთანა ცარცვა-გლეჯის ასაცილებლადაო.

*** ქუთაისში გაუმართავთ კონცერტი კლასიკურის გემნაზიის ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის. კონცერს კარგად ჩაუვლია. წმინდა შემოსავალი ყოფილა 350 მანათიო.

*** სხვათა სავალდებულო სასწავლებელ საგანთა შორის დიდი ხანია გიმნასტიკაც შემოღებულია 1-ლს კლასიკურს გემნაზიაში. წარსულის 1885 წლის შეგირდებს დააწყებინეს სწავლა თოფის ხმარებისა და სამხედრო ხელოვნებისა, ამისთვის მოიწვიეს ერთი აფიცერი და ორი უნტერ-აფიცერი, რომელთაც ჯამაგირად დაენიშნათ თვეში 50 მან. მოსწავლეებს უფრო ორკესტრი იზიდავს თურმე. კაპელმეისტერი ი. ი. გლავაჩი ასწავლის შეგირდებს. ორკესტრის გასამართავად პატივ-ცემულმა პირველის გემნაზიის მზრუნველმა თ. ნ. ვ. არღუთინსკო-დოლგორუკმა შესწირა 300 მან. დანარჩენი საჭირო ფული, 1,000 მანათზე უმეტესი გემნაზიის საკუთარის შეძლებიდამ მოხმარდა ამ საგანს. სამი-ოთხი თვის განმავლობაში მოსწავლეთ საკმაოდ გამოიჩინეს თავი სამხედრო ვარჯიშობასა და მუსიკის სწავლაში. (გაზ. «Кавказъ»-ი)

*** გენერალ მაიორს პეტერს, რომელიც მთავარ მმართებლის დიდის-მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის შვილების აღმზრდელი იყო, მის მთავარ მმართებლობის დროს კავკასიაში, ბევრს სხვა მხატვრობათა-შორის კავკასიის ბუნებიდამ, დაუხატავს ახალი სურათი. სურათი მოსწონებიათ პეტერბურგში და ამ დღეებში ბერლინის გამოფენაზე იქმნება გაგზავნილიო. ხელოვნებათა აკადემიამ აკადემიკოსობა მისცა პეტერს ოთხის მშვენიერის სურათისათვის კავკასიის ბუნებიდამვე. ეხლანდელი სურათი მეტად დიდია თურმე: სიგანით 5 არშინია და სიმაღლით 3½ არშინიო და წარმოადგენს მთას თერთულდს ზემო-სვანეთშიო. სურათს სათაურად აწერია: «მეუფება მუდმივის თოვლისა». (გაზ. «Кавказъ»).

*** 31 მარტს, პოლიციის 7 განყოფილებაში, ნავთლუხის ახლო, ტფილისის მცხოვრებლის ავეტიქ სტეფანოვის აგურის ქარხანაში მიწის გადმონგრევისაგან ერთი მუშა ქვეშ მოჰყვა და მოკვდა ყაზახის მაზრის მცხოვრები კირაკოზ ვართანოვი და ორი-კი — მარტიროზ ალბაზოვი და პოღოზ ისრაილოვი ცოტათი დაზიანდნენ.

## ნაკვესი

ფერშალმა პ—რე ა—შვილმა სოფლის ყრილობაში თავი იქო:

— კაცი არ არისო, რომ ჩემის ხელობის გამო მემდურებოდესო.

— ცოცხალი რომ აღარავინ გადაგრჩა, ვიღა დაგემდურებაო, უპასუხა მამასახლისმა.

ა. თ.

## მმართებლობის განკარგულებანი.

დაუთხოვნიათ სამსახურიდამ ფოსტალიონნები: ჩიქიშლიარის ფოსტის განყოფილებისა—მიხეილ გორვაჩი და მიხეილოვ-თურქმენის ფოსტის კანტორისა—ტროფიმე შჩერბინინი.

დაუნიშნავთ: აქციზის ზედა-მხედველი ივანე ფირუმოვი უფროსს კონტროლიორად ამიერ-კავკასიის აქციზის სამართველოში. მილიციის პრაპორჩიკი გედოიათ-ბეგ ახუნდოვი ტფილისის ოლქის სასამართლოს თარჯიმანად; სოფ. ულუკარბეჯის მცხოვრები მარკოზ ტერ-ასცატუროვი კანცელარიის მწერლად ჯევანშირის მაზრის სამმართველოში; გუბერნიის სეკრეტრის შვილი ილია მელიქ-ახნაზაროვი კანცელარიის მწერლადვე ელისავეტოპოლის ოლქის სასამართლოში.

დაუთხოვნიათ: კანდიდატი სამოსამართლო თანამდებობისა ქუთაისის ოლქის სასამართლოსი სოლომონ სანებლიძე და ამავე სასამართლოს სეკრეტრის თანაშემწე მიხეილ ქუთათელაძე.

## დამაკვირდი

თუ კარგს დასაბამს დასასრული არა აქვს, არაფრადა ჰღირს. (კორნელი)

⁂

მომაკვდავს ხმა დიდებისა უფრო ნაკლებ ანუგეშებს, ვიდრე ხსენება მისის კეთილის საქმისა. (ბუასტი)

⁂

სიხარული მწუხარების უნახავად არ იქმნების და ჭირ-უნახავად კარგი სახელი არ მოიპოვების.
(სარგის თმოგველი)

⁂

ყალამით ვინმე მორთული
თავსა პატივსა იდებსა,
არ იცის ცხვრისა ნაცვამი
კაცსა არ გაადიდებსა.
(მეფე ვახტანგ VI)

⁂

არ დაეკარგვის უფასოდ
ვის გლახა შეუმოსია.
(არჩილ მეფე)

⁂

მიდის-მოდის ეს სოფელი,
ქარ-ტეხილთა ზღვისებრ ჰღელავს,
უკან დასდევს დრო და ჟამი,
მის ნაქსელავს ჰქსოვს და სთელავს;
ის მჭლე-კაცი ცელს რას აქნევს,
რასა სთიბავს, რასა სცელავს?
ამად გწუნობ საწუთროსა,
სულ ბნელია, რასაც ელავს!..
(დავით გურამიშვილი)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

«რკინის» კანცლერის სიტყვამ კიდევ დაიჭექა, მთელი ევროპა მოირბინა და ჟურნალ-გაზეთების ყურადღება მიიპყრო. მეტადრე საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა ააღელვა. ბევრი უთმეს «ევროპიის დევს» თავად ბისმარკს, მაგრამ უკანასკნელი მისი წინასწარმეტყველობა კი ვეღარ შეიწყნარეს.

---

ლე, დეპუტატი. რამდენი უნიჭო და სულელი იკვლევს გზას პატივისას და დაუმსახურებლად მაღლა თაროზეა დასკუპებული. რომ შეიძლებოდეს რომელსამე დიადსა, საერთოდ სასარგებლოსა და ყოვლად-მპყრობელს აზრს მისცეს თავი სამსახურად,—არმანი თავ-განწირულებითი და თავ-დავიწყებითი მიეცემოდა ამ სამსახურს. მაგრამ ეხლანდელ ფრანგთა ცხოვრებაში ამ ნაირი აზრები მოდად არ არიან და ბაზარი და გასავალი არა აქვთ. ყველა ამის გამო, არმანი არაფერს არ აკეთებს, ბულვარსა სტკეპნის, ტანისამოსივით იცვლის საყვარლებს, ეტრფის სხვის ცოლებს, მიჯნურობანას თამაშობს, თუმცა მიჯნურობა დიდი ხანია აღარ შეუძლიან. ყველაფერში ეჭვიანობამ გამოჰხრა მისი არსება; უფრო ქალებს დასდევს და ყველაზე უფროკი ქალები ეჯავრება, რადგანაც ისინი თავ-ცარიელნი და გარყვნილი არსებანი არიანო. როცა ელენე სიყვარულს უცხადებს და გულსა და სულს უშლის, როგორც თავის იდეალს, თან არწმუნებს, რომ შენ ჩემი პირველი სიყვარული ხარო,—არმანს ჰგონია, რომ ეს სწორედ ასეც უნდა იყოსო და გულში კი ჰფიქრობს: რა ცრუ არის! უთუოდ მე მეათეს მეუბნება ამ სიტყვებსაო. ნეტარება დიდხანს არ შერჩათ. არმანმა ერთხელ ხმა-მაღლა ლაპარაკი დაუწყო განგებ, რომ სრულად მოშორებოდა აბეზარს ქალს და ელენემ მხოლოდ მაშინ იგრძნო, რა ღრმა შეურაცხ-ყოფა აიტანა ამ კაცისაგან მასთან ნაცნობობის დროს. ქალს განწირულებისა და სასოწარკვეთილებისაგან აზრი ეშლება და გონება ეკარგება, დამცირებული და სასაცილოდ აგდებული უძვირფასეს გრძნობისათვის, ელენე შურსა ძიობს. და შურსა ძიობს სულელურად, გიჟურად, ისე, როგორც შეუძლიან იძიოს შეურაცხ-ყოფილმა ქალმა. ქალი ეძლევა ხელში პირველსავე შეხვედრილს კაცს, რომელიც ჭირივითა სძაგს მხოლოდ იმიტომ, რომ ნება ჰქონდეს უთხრას მერე არმანს: აი რა მიყავიო, მე წმინდა ვიყავ, სულითა და გულით მოგენდე და შენ კი ფეხ-ქვეშ გამქელე შენის სიცრუით, ზიზღითა და გულ-ქვაობითაო. ამ გვარი ქცევა ელენესი სთრგუნავს არმანის ეჭვიანობას. ორის ადამიანის დაღუპვა, სინიდისის ქენჯნა არწმუნებს, რომ ცხოვრება ისე ცარიელი არა ყოფილა, როგორც ეგონა ამაყ და სულელურ თავ-მოყვარეობის გამო. როცა მერე სტოვებს პარიჟს, მიდის დიდის ხნობით შორს და უკან დაბრუნებისას ჰგონია, რომ ელენეს გული სამუდამოდ მოკლული იქმნება და ამ გულს თან გადაჰყვებოდაო, ჰხედავს, რომ ამ სუსტს და სნეულს არსებას საკმაო ძალა გამოუჩენია და უცოცხლია კიდევ თავის ქმრისა და შვილისათვის. ამის გამო, არმანი სრულიად გამოიცვლება: რწმუნდება რომ ცხოვრება გართობა არ არის, არამედ ვალია, რომ კაცი თანამდები და მოვალეა იცოცხლოს, რათა თავის მოყვასთა ტანჯვის ცრემლი მოსწმინდოს და სასარგებლო იყოს მათთვის.

—

ეს წერილი პოლ ბურჟეზე ჩვენ შეგვხვდა ერთს რუსულს გაზეთში და ეკუთვნის ბ-ნს იაკოვლევს.

## ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში

(დასასრული *)

კაცის დატყვევება (ლინტყოვ) მძიმე დანაშაულად და დიდ სირცხვილად ითვლება სვანეთში. ერთსა და იმავე საზოგადოების მცხოვრებთა შორის დატყვევება არ არსებობს. დატყვევება შეიძლება მხოლოდ სხვა საზოგადოებაში, სხვა ქვეყანაში მცხოვრებს მტერისა. მტრის დატყვევებას გამოიწვევდა მძიმე შეურაცხება, რომელიც მას, მტერს მიუყენებია დამჭერისათვის და კმაყოფილება არ მიუცია. თუ ერთმა საზოგადოების კაცმა მეორე საზოგადოების კაცი დაატყვევა და გზად სხვა საზოგადოების ადგილზე უნდა გაატაროს, უკანასკნელ საზოგადოებას უფლება აქვს, თუ გაიგო, ტყვე გააშვებინოს მტერს და თავის სახლში უნებლიედ წაიყვანოს. დამტყვევებელი უბრალო სამდურავსაც ვერ გაჰბედავს და ვერ ეტყვის ტყვის მხსნელს საზოგადოებას. მტრის ხელში ჩავარდნის შემდეგ ტყვე ხელუხლებელი იყო, ე. ი. ცემა და სხვა ნაირი მისი წვალება არ შეიძლებოდა. დამტყვევებელი მოვალეა კარგი, მუდამ სახსნილო ხარჯი მისცეს ტყვესს; წინააღმდეგ შემთხვევაში დამტყვევებელის ოჯახი, თემი, სოფელი, საზოგადოება დაიმსახურებს ქვეყნის აუგს, სირცხვილს. ტყვეს უფლება აქვს იმ სოფელში, სადაც დაჭერილია, წვრილ-ფეხი საქონელი: ქათამი, გოჭი, ბატკანი, კრავი დაიჭიროს და დაიკლას თავისთვის, ვისიც უნდა იყოს. ამ «ნანადირევით» ტყვე თვითონაც სარგებლობდა და სხვებსაც, რომელნიც მას გარს ეხვივნენ შესაქცევად უთავაზებდა ხოლმე. საქონლის პატრონი ტყვეს ვერ უსაყვედურებდა ამას ჩვეულების ძალით. დაჭერის პირველ დღეებში, კვირეებში ტყვე თავისუფლად დადის, მიჩენილის კაცების მხედველობის ქვეშ. ამ ნაირად იყო ტყვე, სანამდის დამტყვევებელი ტყვის ჭირისუფლისაგან არ შეიტყობდა ნამდვილად: მალე აპირობს იგი — ჭირის-უფალი ტყვის დახსნას, თუ არა. თუ არ დაიხსნიდა, ტყვის შესახებ იხმარებოდენ შემდეგი ზომები, გინა დასჯა:

*a*) ტყვეს შაუყრიდნენ რკინის ბორკილებს ფეხებში;

*b*) შაუყრიდნენ ცალ-ფეხში ხის ხუნდს (ხულ); და

*c*) დაამწყვდევდნენ დილეგში (დილეგ). ხუნდი იყო ხისა, რგვალი, სიგრძით ცოტა ნაკლები არშინზე; შუაზე დაპობილი იყო ორად. ეს ორი თანასწორი ნახევარი ხუნდისა შიგნითა მხრით რგვლად ამოთლილი იყო შუა ადგილას იმოდენად, რამოდენიც საჭიროა იმისთვის, რომ შიგ კაცის წვივი მოთავსდეს. ფეხში შეყრის დროს ხუნდი ორად გაიხსნებოდა, შეყრის შემდეგ იკეტება ერთგვარის ხის ბოქლომით, რომლის გასაღებსაც დამტყვევებელი ინახავდა ფრთხილად, რომ ტყვეს არსად ენახა. რადგანაც ხუნდის თრევა ერთის ფეხით სამძიმო იყო, ამისათვის ხუნდს მობმული ჰქონდა შუაზე ბაწარი,

---

*) «ივერია», № 72, 1886 წ.

იქნება, შორს აღარ იყოს ის დროებაო, წინასწარმეტყველობს ბისმარკი, როდესაც საფრანგეთის ჯარი, როგორც ამ საუკუნის დასაწყისში, კიდევ გამოილაშქრებს მთელის ევროპიის წინააღმდეგ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წინად იმათ დროშაზე თანასწორობის იდეები ეწერა, ეხლა კი სრულიად საევროპიო სოციალურ-რევოლიუციის დროშას აღმართვენო. ეს საშინელი დრო ახლოა და ახლოა მოდისო: და ვფიქრობ, რომ უფრო ჩქარა გამოიჩენს თავსა, ვიდრე ჩვენა გვგონიაო. ამიტომ საჭიროა ავჩქარდეთ და გერმანიის იმპერია გავამაგროთო, და სხვა.

საფრანგეთის გაზეთები მაშინვე მიხვდნენ, ვისკენ ისვრის კენჭს ბისმარკი. ბისმარკმა ამ სიტყვით თითქმის გამოიწვია საფრანგეთი, და საფრანგეთის გაზეთებიც ზდილობიანად მოიქცნენ და პასუხაუგებლად არ დარჩნენ. ბევრმა გაზეთმა ზდილობიანად, თავ-დაჭერით უპასუხა, «*Figaro*»-მ კი ცოტა მკვახედ შეაქო:

ეს სიტყვა, ამბობს გაზეთი ბისმარკის თქმულზედ: ყველა ღირსებას მოკლებულიაო. დიდის სახელმწიფოს პირველ მინისტრს ნება არა აქვს ასე უზდელად მოიხსენიოს თავისი მეზობელი ერიო; დიდი წინ-დაუხედაობაა, საქვეყნოდ მტრად აღიაროს ის ერი, რომელსაც მასთან მეგობრული განწყობილება ჯერ არ დაურღვევიაო. გაზეთ «*Liberte*»-ს არც აუღია, არც დაუღია და პირ-და-პირ ამბობს: გერმანიის კანცლერს, როგორც ეტყობა, სიბერისაგან ჭკუა დაჰკლებიაო.

«*Journal des Debats*»-ი უფრო გულ-დამჯდარად ლაპარაკობს, ამის სიტყვებს უფრო დაცინვის კილო ეტყობა.

ამისთანა დიდის და თავისებურ გენიოსისაგან,—ამბობს გაზეთი, უფრო მეტს და ჭკვიანურს მოველოდითო. გვეგონა, ახალს რასმე იტყოდა, გონივრულს რასმეს გვაუწყებდაო. რა ამის დიდის გონების საკადრისია, განიმეოროს, რომ საფრანგეთი გერმანიას უთუოდ სამაგიეროს გადაუხდისო და თავის დამარცხებას არ შეგვარჩენსო. ეს დიდი ხანია გვესმის. მაგრამ, არა; ბისმარკი მარტო ამას არ ჰჯერდება; საფრანგეთი თურმე სხვა მხრივაც ყოფილა საშიშარი: საფრანგეთი, თურმე, სოციალურ ომს უქადის მთელ ქვეყანას. აქამდინ ჩვენ სამ-ფეროვანი დროშა გვქონდა, და ეხლა თუ სამზღვარ გარედ გავილაშქრეთ, ბისმარკის სიტყვით, წითელ დროშას გავაფრიალებთ. ღიაღ, ჩქარა მთელი ქვეყანა ამას უნდა მოელოდეს, და თუ აქამდინაც ეს არ მომხდარა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს გენერალს ჯეროვანი ბრძანება არ გაუცია...

***

«Одесскій Вѣстникъ»-ი ახირებულს ამბავს სწერს ერთს «წმინდა კაცზე», რომელსაც სალოცავად იერუსალიმი მოუვლია, და ეს მოგზაურობა ხელობად გამოუყენებია «უმეცართა მოსატყუებლად». ბოლგართა კოლონიაში გაძრატში (ბენდერის მაზრა), ამბობს გაზეთი, არის ჩვეულება, რომ როცა «ჰაჯი» დაბრუნდება იერუსალიმიდამ, ვისაც შეუძლია, საჩუქარი უნდა მოუტანოს პატივისცემის ნიშნად.

ერთმა ღარიბმა, განაგრძობს გაზეთი, მიუტანა ამ გვარს «წმინდა კაცს» ერთი ბოჭკა ღვინო. «წმიდამ» გადაასხა, რასაკვირველია, ღვინო თავის ახალ ბოჭკაში და გაისტუმრა მომტანი. რამოდენსამე ხანის შემდეგ «ჰაჯიმ» გასინჯა თავისი ღვინო და... გაოცდა: ახალს ბოჭკას სრულიად წაეხდინა ნექტარი... რა ექნა «ჰაჯის»? სხვა მისს ადგილას როგორმე დამორჩილდებოდა ბედს: ან დალევდა დაზიანებულ ღვინოს, ან და სულ ხელს აიღებდა. «ჰაჯიმ» კი სხვა «შტუკა» იხმარა; დაიბარა ღვინის მომტანი და მკაცრად უთხრა:

— შენმა ღვინომ ოც-და-ხუთ მანეთიანი ბოჭკა გამიფუჭა,—დამიბრუნე მალე ბოჭკის ფასიო.

— რას მეუბნები «ჰაჯი», შეჰკივლა საბრალომ, როგორ გადავიხადო ამდენი ფული?

— კარგი, უპასუხა «ჰაჯიმ», თუ ეხლა არ შეგიძლია გადახდა, ხელ-წერილი მომე, რომ ჩემი ოც-და-ხუთი მანეთი გმართებს და როცა გექნება ფული, მაშინ მიზღე ბოჭკის ფასიო.

ბოლგარელს გაუხარდა. დაუწერა «ჰაჯის» ხელ-წერილი, თავს შეაკეცა სარგებელიც და გაათავა ამით საქმე. ვადის შემდეგ «ჰაჯიმ» განაახლა ხელ-წერილი და, რასაკვირველია, გაათკეცა ვალი. გავიდა კიდევ ვადა და კიდევ იმ გვარივე ხრიკი მოსდო «წმინდა» კაცმა, დასასრულ კი, როცა ვალი ავიდა სამას მანეთამდის, «ჰაჯიმ» წარადგინა ხელ-წერილი, სადაც რიგი იყო და სულ ყოველისფერი გაუყიდა საბრალო გლეხს...

ნეტავ ჩვენშიდაც მოიძებნებიან ამ გვარი «წმინდა კაცები».

***

## სხვა-და-სხვა ამბავი

**დუმა-გარეულის ერბოს შეტყობა.** რომ გაიგოთ, როგორია ერბო, ან კარაქი, დუმა შერეულია, თუ არა და რამდენად, ამისათვის საჭიროა ეს მარტივი, მაგრამ შეუცდომელი საშუალება იხმართ. გაადნეთ ნაწილი გასასინჯავის ერბოსი და შემდეგ საჩქაროდ გააციეთ თოვლით, ან ყინულით და რომელიმე მჭვირვალე ჭურჭელში ჩაასხით. დუმა, თუ გარეული იყო, უეჭველად ჭურჭლის ძირში მოექცევა, ერბო-კი ზემოდ. ამასთანავე ადვილად გაარჩევთ, რადგან არ აირევა ერთმანერთში.

**იაპონიის კბილის ექიმები.** იაპონიის კბილის ექიმები არავითარს იარაღს არა ჰხმარობენ კბილის ამოგლეჯისათვის და მხოლოდ მარჯვენა ხელის ცერის და სალოკის თითის შემწეობით იოლად მიდიან. იმათ, რამდენადაც კი შესაძლოა, ამ ორის თითით მარჯვედ და მოხდენით შეუძლიანთ არამც თუ ერთის კბილის ამოღება, არამედ თუ საჭიროა ყველა 32 კბილსაც ადვილად ამოიღებენ. რასაკვირველია, დიდი გამოცდილება საჭიროა, რომ ამ ხელოვნებამდის მაიღწიოს კაცმა. ამ საგნის შესასწავლად ექიმი ჯერ თავის უფროსთან, ოსტატთან სწავლობს, და შემდეგ ისე იწვრთნებიან, რომ ერთი კბილიც ვერ გამაგრდებათ, რაც უნდა მაგრა იჯდეს ღრძილში.

**რითი უნდა გაიწმინდოს მინები?** თუ ფანჯრების მინები რაიმე წამლით, ან გაჯით და სხვ. არის გაწუწნული, იმათი გაწმენდა ადვილი არ არის, დასველებული ტილო მათ ვერაფერს უზავს, ხშირად წმენდაში მინა იფხაჭნება, ბევრი დრო გადის და უფრო ხშირად ტყდება კიდეც. ამათ ასაცილებლად ყველაზედ უკეთესი საშუალება არის ძმარი. ჯერ ძმრით უნდა გაიწმინდოს მინები და შემდეგ წყალი გადავლოს.

**დიდ-კაცის შვილი და იმისი წვრთნა.** გერმანიის ტახტის მემკვიდრის შვილი, პრინც ვილჰელმი 15 წლამდე, ვიდრე გიმნაზიაში შევიდოდა, თავის მშობლების სახლში სწავლობდა. დილის სწავლა 9—12 საათამდინ ჰქონდა ხოლმე, ხოლო 11 საათზედ ცოტაოდენს ისვენებდა. ამ დასვენების დროს ყოველთვის საუზმე ეძლეოდა, თეთრის პურის ნაჭერი და ხილი რამ. მასწავლებელს კი ამავე დროს ბიფშტექს მიართმევდნენ ხოლმე. მოხრაკულის ხორცის სასიამოვნო სუნი ხშირად უღიმებდა პრინცს მადას და ხარბად და შურით შესცქეროდა მასწავლებელს, რომელიც მშვენიერს ბიფშტექს შეექცეოდა — მაგრამ ამაოდ, ვერ უსრულდებოდა ნატვრა, ვერ იკმაყოფილებდა სურვილს.

ერთხელ პრინცს პური და ერთი მტევანი ყურძენი მოუტანეს და მასწავლებელს კი ბიფშტექსი. მასწავლებელი ამ დღეს მეტად მადლიერი იყო, რადგანაც მოსწონებოდა ბეჯითობა თავის შეგირდისა, და ამიტომ ჯილდოდ თავის ბიფშტექსი პრინცს დაუთმო და თვითონ პრინცის საუზმეს დასჯერდა. პრინცს ეს ძალიან იამა. როდესაც შეგირდი და მასწავლებელი მადიანად შეექცეოდნენ თავ-თავის საუზმეს, შემოვიდა პრინცის მამა, მემკვიდრე გერმანიის იმპერატორისა. მასწავლებელმა მოახსენა პრინცის ბეჯითობა სწავლაში და ამისთვის ჩემი ბიფშტექსი იმას დაუთმეო. მემკვიდრემ ჯერ არა უპასუხა-რა, მაგრამ სწავლის გათავების შემდეგ მასწავლებელი თავისთან ცალკე მიიწვია.

— ეს ერთხელ რაც მოხდა, მოხდა, უბრძანა მემკვიდრემ, ხოლო გთხოვთ, რომ მაგისთანა ამბავი აღარ მოხდეს; მე მსურს, რომ ჩემმა შვილმა იცოდეს ვინ არის მასწავლებელი და ვინ არის შეგირდი, ამის გარჩევა ჰქონდეს და იმას ეკუთვნოდეს, რასაც საუზმედ მიუტანენ. ეხლავ რომ ბიფშტექს შეეჩვიოს, ოცის წლისა რომ გახდება, მაშინ რაღა ჰქმნას. პური და ხილია ეხლა მაგისთვის ყველაზედ სასარგებლო საჭმელი.

ბარონ სუტტნელს, მოთხრობის «დარეჯანის» ავტორს, სტუტგარდში გამოუცია თავისი ახალი მოთხრობა «ბატონო»-ს სახელ-წოდებით. ამ ახალის მოთხრობის შინაარსიც ვითომ საქართველოს ცხოვრებიდამ არის აღებული. თუმცა ეს მოთხრობა არ წაგვიკითხავს, მაგრამ «დარეჯანის» მიხედვით რომ დავაფასოთ, უეჭველია «*chronigue scandaleuse*»-ს მაგვარი იქნება რამე, რადგანაც იქ სუტტნერს ქართველის საზოგადოების ცხოვრება კი არა აქვს აღწერილი საზოგადოდ, მხოლოდ რამდენიმე პირი ჰყავს გამოყვანილი და მათი ბიწიერება ჩამოთვლილი. ამ წიგნმა არა გვგონია, კარგი აზრი შეადგენინოს უცხოელებს ჩვენს ენაზედ.

## დეპეშა

1 აპრილს

**ლონდონი.** გლადსტონის პროექტის წინააღმდეგ—ლაპარაკი ირლანდიის ავტონომიის გამო ვრცელდება და ძლიერდება: «*Times*», «*Daily Telegraph*»-ი, «*Standart*»-ი და სხვა დიდი გაზეთები კვლავ სასტიკად ეკამათებიან გლადსტონის პროექტს. «*Daily News*»-სა-კი—გლადსტონის გაზეთს ეჭვი აქვს ხსენებულის კანონის განხილვა ამ ხანად გაათავონო.

**ბრიუსსელი.** გუშინ გარდაიცვალა რუსეთის ელჩი, გრაფი ბლუდოვი.

**სოფია.** ბოლგრიის მთავარმა დიდს ვეზირს პასუხად შეუთვალა: იმის გარდა, რომ ცოტაოდნად უნდა შეი-

---

რომლის მეორე ბოლო ტყვეს ეპირა ხელში. სიარულის დროს ტყვე ბაწრის საშუალებით იმსუბუქებდა ხუნდის სიმძიმეს, ფეხზე დაწოლილს.

დილეგს (დილეგ) სვანეთში ეძახიან კოშკის ქვედა სართულში ოთახს. ეს იყო მიჩენილი ტყვის დასამწყვდევად. და კიდევაც იმიტომ მისთვისებია ეს სახელ-წოდება «დილეგი». ამ ოთახს კარი არა აქვს; კარის მაგიერობას ჩადიოდა ოთხ-კუთხიანად ამოჭრილი «ლობი» ჭერში, საიდამაც ტყვეს ჩაუშობდენ კიბით. მერე კიბეს ამოიტანდნენ, ჭერში ამოჭრილს ჩასავალს «სარქველით» დახურავდენ ჭურის თავის მინაგვარად. ტყვეს საჭმელსაც ზემოდამ აწვდიდნენ. დილეგში ტყვის დამწყვდევა ძლიერ იშვიათი ყოფილა, რადგანაც ჭირისუფალი ყოველს გვარს ღონის-ძიებას იხმარდა, რომ «სახსარი» (საყსარ) დროზე მიეტანა მტრისათვის და გამოეხსნა დატყვევებული აუტანელის მდგომარეობისაგან.

ხალხი ამბობს და ხალხურს სიმღერებშიაც მოხსენებულია, რომ ძველის-ძველად სვანებს სცოდნიათ ხელის ბორკილიც, ესრეთ წოდებული «მარქვარ» (მარქვ—ქართული მაქვა). რა ნაირი ყოფილა ეს «მარქვარ» ვერავინ ვერ ამიწერა, რადგან მათი ხმარება ახლანდელს მოდგმას არ ახსოვს.

ტყვის გამოხსნა სახსარს, ნივთიერს საზღაურს თხოულობდა. იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც მტერი მტერს დაატყვევებდა და რამოდენისამე დღის შემდეგ უსახსროთ განათავისუფლებდა. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც შეურაცხყოფილს სურდა მაგიერი გადაეხადა მტრისათვის. როდესაც სასახსროდ (ლესყსარიდ) გახდებოდა საქმე, მაშინ საქმე დაიდებოდა ამ ნაირად. ჭირისუფალი ტყვისა, რა კი გაიგებდა დატყვევებას თავისიანისას, ადგილობრივ მახვშისთან მიიქცეოდა. ეს უკანასკნელი წავიდოდა იმ საზოგადოებაში, სადაც დატყვევებული იყო ვინმე. ნახავდა დამტყვევებელს, მის საზოგადოების მახვშის; შეიტყობდენ ეს ორი, რამდენი სახსარი უნდა გადახდენოდა ტყვის ჭირისუფალს. შემდეგ დამტყვევებელი რამოდენიმე კაცით ტყვის ჭირისუფალთან მიდიოდა სახსრის მისაღებად. რამოდენი კაციც დამტყვევებელის მხრით ტყვის საზოგადოებაში მიდიოდა, იმოდენა მძევალი (ძავალ) ტყვეს ჭირისუფალს უნდა გამოეგზავნა მტრის საზოგადოებაში. როდესაც სახსარზე მორიგდებოდნენ, მაშინ დამტყვევებელი თავის კაცებით სახლში ბრუნდებოდა და შემდეგ ერთგულობის ფიცისა, ათავისუფლებდა ტყვეს და მძევლებსაც. ტყვეობა დიდ სამარცხვინო საქმედ მიაჩნია ხალხს. ამ სირცხვილს ტყვე ძვირად-ღა შეირჩენდა. ერთ უმთავრესს მიზეზად მკვლელობისა სვანეთში კაცის დატყვევება იყო: მხოლოდ მოკვლა დამტყვევებლისა აღუდგენდა პატივს ტყვეს. ჩვეულების ძალით ბორკილებ და ხუნდ ნაყარი ტყვე ღირსება ჩამორთმეული კაცია, მას აკრძალული აქვს ნაკურთხ მიწაზე დაიმარხოს. თუ ვისმესთან ჩხუბი მოუვა, მოწინააღმდეგე შემდეგის სიტყვებით შეარცხვენს ყოფილს ტყვეს: «სი ტყვე, იმჟი მარგალი მი»! (შენ ტყვევ, რაღა პირით მელაპარაკები მე!). ეს იყო მიზეზი, რომ დამტყვევებელი ისე ექცეოდა მის მიერ დატყვევებულს, როგორც ბატონს ყმა; მუდამ ცდილობდა თავის სხვა-და-სხვა ნაირ სამსახურით, პატივის-ცემით ტყვეს გულიდამ ამოექარწყლა ის ხინჩი, რომელიც ყოველს ტყვეს გაჰყვებოდა განთავისუფლების შემდეგ...

***

### მიწის ზომები

მომყავს სვანური ზომები და საწყაოები, რადგან იგინი ხშირად არიან ამ წერილში ნახსენები.

a) თავისუფალ სვანეთის ხუთს საზოგადოებაში—უშგულს, კალს, იფარის, მულახს და მესტიას იხმარებიან:

ა) «წორ» ის «ნალჯომი» და უდრის ერთს ქცევას.

ბ) «ნაცვრიერი»-ის «ნალჯომი» ორ ნახევარი შეადგენს—ქცევას.

გ) ლენჯერის და ლტალის ოთხი «ნალჯომი» უდრის—ქცევას.

*b*) საბატონო სვანეთში:

დ) ეცრის საზოგადოების ცხვადიში=ქცევას.

ე) ბეჩოს, ფარის და ჩუბეხევის ოთხი ცხვადიში=ქცევას.

c) სადადიანო სვანეთში სამივე საზოგადოებაში: ლაშხეთის, ჩოლურის და ლენტეხისაში მიწის ზომად მიღებულია «ლადღიშ» (დღიური), უდრის ერთს ქცევას.

კარგი სათიბები და ტყეებიც ნალჯომით და ცხვადიშით იზომებიან.

### საწყაოები

*a*) მარცვლის, ნამუშევრის. ენგურის ხეობაში მდებარე სვანეთში:

«ლელვლიაქ» (ცხვრის სალირალი) იწონს $1^1/_2$ ფუთს.

«ჩაბანალ»=$^1/_6$ ლელვლიაქისას.

«ლახნისგ»=$^1/_2$ ჩაბანალისას.

«ლაყვლა», ან «კვიდოლ»=2 ფ.

«კვიდ»=4 ლაყვლას, ან კვიდელს, ე. ი. 8 ფუთსა.

«ტურფაჲ»=$^1/_3$ კვიდოლას.

«კარვა», ან «საჩფულ»=ჩაბანალს.

*b*) ცხენის წყლის ხეობაში მდებარე სვანეთში:

«ლახდილ»=2 ფუთს.

«ლალააშ»=1 ფ.

«კარვა»=$^1/_6$ ლალააშისას.

### სასმელების საწყაოები

| | |
|---|---|
| თავისუფალ სვანეთში «ლერქვაშ»<br>საბატონოში «ზექა»<br>სადადიანოში «ლაზემ» | სამივე ესენი საწყაო დოქის სახელებია, რომელშიაც ჩადის ხუთი ვერშუტის ბოთლი და ღირან 1 მანათად. |

| | | |
|---|---|---|
| «დახლაშ» (თხის სალირალი) ღირს | 80 კ. | საწყაო დოქების სახელებია. |
| «ლახნისგ» (მენახევრე) | 50 კ. | |
| «მანჩაშ» | 40 კ. | |
| «ჩაფლაშ» (ქალამნის სალირალი) | 20 კ. | |

ნაქსოვის ზომად მიღებულია წყრთა, ტკაველი, ხელის დადება.

### ფულის ანგარიში

«ჩაფლაშ»=20 კ.

«ლერქვაშ»=1 მ. (ლერქვაშ პირ-და-პირ ნიშნავს ცალის ტანისამოსის სალირალს).

«აცსიშ»=6 მ.

«ფურეშ»=10 მ. (ფურეშ, ე. ი. ძროხის ფასი).

«ტყვემიშ»=24 მ.

ბეს. სვანი

ცვალოს მორიგება, მე თავს ვიხრი ერთა-შორებრივის ოქმის წინაშე, რადგან დიდთა სახელმწიფოთა ერთხმივად დაამტკიცეს ხსენებული მორიგებაო. ბოლგარიის მმართებლობა თავის მხრით დიდთა სახელმწიფოთა ერთობილის ნოტის პასუხად ამბობს, რომ ცნობასა და მხედველობაში მივიღეთ, რასაც გვწერთო. მთავარმა მიხწერა აგრეთვე დიდს ვეზირს, რომ მზადა ვარ დავნიშნო კამისიისათვის დეპესნები რუმელიის ორგანებურის წესების გადასათვალიერებლადაო. დიდმა ვეზირმა უპასუხა, რომ ხონთქარი მალიან კმაყოფილია, რადგან თქვენ დაემორჩილეთ კონფერენციის გარდაწყვეტილებასაო. მოგილოცავთ ახალს და დიდს თანამდებობასაო და გაცნობებთ, რომ გადბანს ებრძანა მორიგდეს ბოლგარიის მმართებლობასთან იმის თაობაზე, ვინა-და-ვინ უნდა დაინიშნონ კომისიაში წევრად რუმელიის წესდების გადასათვალიერებლად. გადაწყდა აგრეთვე ვიდრე ფირმანი დაიწერებოდეს ბოლგარიის მთავრის დანიშვნის თაობაზე ადმოსავლეთის რუმელიის გენერალ-გუბერნატორად, თვით მთავართან მორიგდენ იმაზე,—თუ როგორ უნდა იქმნას ეს ფირმანი დაწერილიო.

ათინა. ხალხის ჩოჩქოლის დროს, დელიანისმა მიმართა ერს და უთხრა, რომ იმედი მაქვს დიდნი სახელმწიფონი ბოლოს მაინც კანონიერად სცნობენ ჩვენს მოთხოვნილებასა და აღიარებენ, რომ ეს მოთხოვნილებანი არ ეწინააღმდეგება ევროპის საერთო საჭიროებასაო.

## «ივერიის» ფოსტა

ს—ს კ. მ—ს. თქვენი წერილი დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ. მოგვეწონა და დავბეჭდავთ სრულიად, თუ მიზეზთა გამო სხვათა-და-სხვათა არ შემოკლდა. ყველა თქვენს პირობას ვასრულებთ, ერთის გარდა: გირჩევთ ჯერ ხანად გვარი არ გამოაცხადოთ. თქვენი წერილები ისეთია, რომ თითონვე მოიკითხვენ დამწერის სახელს. ჩქარა შეგვატყობინეთ ფსევდონიმი, თუ ჩვენი რჩევა მოგეწონებათ. შემდეგს ნუ დაგვიგვიანებთ.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქორონიკონი — ჳოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,
ყველიერი მოდის 16 თებერვალს, დიდ-მარხვა — 23 თებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

### აპრილი 30 დღით არის

1 დღე სამშაბათი. ღირს. მარიამ ეგვიპტელისა. შობა მ. უმაღ. ალექსანდრე მიხეილის ძისა. კათ. თეოდორასი, სომ. 37 დღე დიდ-მარხვისა. მთვარე ათის დღისაა. გაივსება 6 აპრილს. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—30. ტფილისში მზე ამოდის 5—23; ჩადის 6—39. მთვარე ამოდის 1—3; ჩადის 1—43 ნღ.

2 დღე ოთხშაბათი. ღირსისა ტიტე საკვირველ-მოქმედისა. კათ. ფრანცისკისა და პავლესი. მუსულმ. მე-10 დღე თვისა რეჯაბისა 1303 წ. ჰიჯრისა. შობა იმამისა მაჰმედ ტაგისი (შიიტებს). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0 15. ტფილისში მზე ამოდის--5—21; ჩადის 6—40. მთვარე ამოდის 2—11; ჩადის 2—33 ნღ.

3 დღე ხუთშაბათი. ღირს ნიკიტა აღმსარებელისა; კათ. ეპისკ. რიშარდისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—0. ტფილისში მზე ამოდის 5—20; ჩადის 6—41. მთვარე ამოდის 3—20; ჩადის 3—15 ნღ.

5 დღე პარასკევი. ღირსისა იოსებ მგალობელისა, გიორგისა და პლატონისა, კათ. ისიდორესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—45: ტფილისში მზე ამოდის 5—19; ჩადის 6—42. მთვარე ამოდის 4—31; ჩადის 3—49 ნღ.

5 დღე შაბათი. მოწამე თეოდორესი, სვიმეონისა, ქალწულ-მოწამისა თეოდორასი, აღდგენა ლაზარესი. სომეხთა: აღდგენა ლაზარესი. კათ. ვიკენტისა. მუსულმ. შობა ხალიფა-ალი მე-IV. (შიიტებს). ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—31. ტფილისში მზე ამოდის 5—17; ჩადის 6—43. მთვარე ამოდის 5—39; ჩადის 4—28 ნღ.

6 დღე კვირა. ბზობა. არხიეპისკ. ევტიხისა და ირემიასი; 120 მოწამეთა, ასურელებულთა სპარსეთს. სომ. ბზობა, ნახატონაქი; კათ. ბზობა, ვილჰელმისა. 5 ს.—59 წ. მთვარე გაივსება. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—17. ტფილისში მზე ამოდის 5—16; ჩადის 6—44. მთვარე ამოდის 6—47 ღ. ჩადის 5—4 ნღ.

7 დღე ორშაბათი. ღირსისა გიორგი ეპისკოპ. და დანიელისა. სომეხ. ხარება წმ. ქალწულისა მარიამისა. კათ. ეპიფანისა. მუსულმ. ისტივთალის დღე. მიიცვალა იმაში სადიყი. დაქორწინდნენ ალი და ფატმა (ასული მაჰმედ წინასწარმეტყველ.) ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—3. ტფილისში მზე ამოდის 5—15, ჩადის 6—45; მთვარე ამოდის 7—54 ღ. ჩადის—5—40 ნღ.

## მაზანდა.

1 აპრილიდამ 1-ლ მაისამდე.

| | |
|---|---|
| 1 გირვ. | 5 კ. |
| ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა. | 2½ , |
| , , 2 , | 2 , |
| ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა | 4½ , |
| მე-2 ხარისხისა | 3 , |
| მე-3 — | 2½ , |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 , |
| 2 — | 7 , |
| ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი | 14 , |
| ცხვრის ხორცი | 9 , |

## გამოსადეგი ცნობანი.

### მიმოსვლა რკინის გზისა.

| | |
|---|---|
| ტფილისიდამ გადის ბათუმს | 8 ს. და 35 წ. დ. |
| თაბუმიდამ მოდის — — | 10 ს. და 25 წ. ღ. |
| ბაქოში მიდის — — — | 10 ს. და 45 წ. ღ. |
| ბაქოდამ მოდის— — — | 8 ს. ,, — ,, დ. |

### ტფილისსა და სურამ შუა.

| | |
|---|---|
| ტფილისიდამ გადის — | 3 ს. და 19 წ. დ. |
| სურამიდამ ტფ. შემოდის | 8 ს. და 24 6. წ. დ. |

### მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კაჯკაჯ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

| | |
|---|---|
| ტფილისიდამ გადის | — 4 ს. ნაშუადღევს. |
| კაჯკაჯში შედის | — — 5 ს. 15 წ. |
| კაჯკაჯიდამ გამოდის | — 4 ს. 7 წ. |
| ტფილისში მოდის | — 5 ს. 6 წ. 6—31- |

ღამე დგომით:

| | |
|---|---|
| ტფილისიდამ გადის | 8 ს. დილით. |
| კაჯკაჯში შედის | — 5 ს. 11; 6—43 საღ. |
| კაჯკაჯიდამ გამოდის | 9 ს დილით. |
| ტფილისში მომოდის | 4 ს. 44; 5—25 საღ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსდა კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

## განცხადებანი

ამა წლის 1 მაისიდამ **ტფილისის საადგილ-მამულო ბანკი სცლის თავის სადგომს** (სოლოლაკის ქუჩა, სახლი კნ.-კ. გრუზინსკისა). **ვისაც ჭსურს იქირავოს ეს სახლი**, მობძანდეს ბანკის გამგეობაში დილის 12 ½ საათიდამ 1 ½ საათამდე.

(2—1)

## გამოცხადება.

14-ს მაისს 1886 წელსა უგანათლებულესის მეგრელიის თავადის მამულების სამმართველოში ქ. ქუთაისს მესხეთის ქუჩაზე, დანიშნულია ვაჭრობა, ლუხვანის ტყიდან გამოტანილის ბზის ხე-ტყის გასასყიდლად წონით. ტყე ესე ლეჩხუმშია.—სულ გასასყიდია ორმოც-და-ათი-ათას ფუთამდე.—

ვაჭრობა იქნება სიტყვიერი, გარნა შესაძლოა მსურველმა დაბეჭდილი წერილი გამოგზავნოს და შიგ აღნიშნოს დაწერილებით თავისი პირობა. გირაოდ მსურველმა უნდა წარმოადგინოს დაახლოებით ორი ათასი მანეთი დაწვრილებით. გასყიდვის პირობის შესატყობად და აგრეთვე ბზის ტყის ნახვისათვის, რომელიც ქ. ქუთაისიდგან 80 ვერსზეა, მსურველი უნდა მოიქცეს ზევით აღნიშნულს მამულთ სამმართველოში.

მმართველი მამულთა და საქმეთა უგანათლებულესის თავადის მეგრელიისა სტატსკის სოვეტნიკი ნ. მალიშევი.

(3—1)

გრ. ჩარკვიანის
ქართულ წიგნის მაღაზიაში

### ისყიდება

ბ. ალ. მირიანაშვილისაგან შედგენილი:

| | |
|---|---|
| პატარა მოამბე, საყმაწ. წიგნი | › 10 კ. |
| საკლასო დედანი, ფურც. | › 10 › |
| იგივე, კარდონზედ გაკრული. | » 60 › |
| მოძრავი ანბანი, ყუთში | 1 მ. › |
| საოჯახო დედანი, ფურც. | › 3 › |
| იგივე, კარდონზე გაკრული. | › 7 › |
| ანბანი კუბიკებზედ, ოჯახში სახმარებელი. | 1 მ. › |

(5—4)

გრ. ჩარკვიანის
ქართულ წიგნის მაღაზიაში
ისყიდება

## რუსულ ქართული ლექსიკონი

ხელ-ახლად გადაკეთებული ახალს ლექსიკონებზედ და გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან.

ფასი თითო წიგნისა 3 მ. 60 კ.

(10—3)

## „თამარ ცბიერი“

ისტორიული დრამატიული პოემა

აკაკისა,

ისყიდება **მორიჯის** ბიბლიოთეკაში, გოლოვინის პროსპექტზე, მუხრან-ბატონის სახლში და **გრიქუროვის** წიგნის მაღაზიაში. **ფასი ათი შაური.**

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება თბილისში გრიქუროვის და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში:

# ვახუშტი

## საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დრ.მ. ზ. ბარაქაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქართით.

შედგენილი და დახატული ქვაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე, ანუ ქართველი ისტორიის წყაროები და «ქართლის ცხოვრების» ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-და-სხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქართა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთა-ხეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი «ვახუშტის ისტორიისა». «მეორე ნაწილს» საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მანათობისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, ანუ გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოიცემა 1887 წელს.

(20—1)

*Prince T. Dadischkéliani*

## L' ARMÉE-GÉORGIENNE

*au*
*Moyen âge*
*par*

*J. Mourier*

თ. თათარყან დადიშკელიანი

## საქართველოს მხედრობა

შედგენილი
მურიეს-მიერ

Дозволено цензурою Тифлисъ 1 апрѣля, 1886 г.
ექ. ხელაძის სტამბა თავის საკუთ. სახლებში.
რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.